ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 350

6 აგვისტო
"---"-------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დიღმის მასივში, I კვარტლის კორპუსი №14ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.13.04.004.006.01.611) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის,61-ემუხლისმე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას" ქალაქ თბილისში, დიღმის მასივში, I კვარტლის კორპუს №14ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.13.04.004.006.01.611) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 ივლისის №21.1033.1122 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დიღმის მასივში, I კვარტლის კორპუს №14ა-ში, მეორე სართულზე მდებარე 16.70 კვ.მ. ფართის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: №01.13.04.004.006.01.611) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ბადრი ვაწაძესთვის (პ/ნ. 01017016894) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება ერთის თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე